დანართი No. 1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

"საექთნო საქმე" პირველი საფეხური (ბაკალავრიატი)

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

შეფასების
თარიღ(ებ)ი: 2024
წლის 17-18 ივლისი

დასკვნის წარდგენის
თარიღი: 2024 წლის 4
დეკემბერი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 7

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 7

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 14

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 21

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 24

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 32

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	208215509
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	აზიმ მირზაზადეჰი, თეირანის სამედიცინო მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ირანი.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დავით თოფურია, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნატო დურგლიშვილი, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	საექთნო საქმე
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Nursing First Cycle (Bachelor's)
უმაღლესი განათლების საფეხური	მე -6 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საექთნო საქმის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0913 საექთნო და სამეანო საქმე
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [2]	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული / არააკრედიტებული / პირობით აკრედიტებული / ახალი / საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო - შემოქმედებითი ან / და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური / შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების / პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

2 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[3]**

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს მიერ წარმოდგენილი ახალი "საექთნო საქმის" საბაკალავრო ინგლისურენოვანი პროგრამა. პროგრამის ხანგრძლივობაა 8 სემესტრი და მოიცავს 240 კრედიტს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ვიზიტი ორგანიზებული იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის კამპუსში.

ვიზიტის პირველ დღეს (2024 წლის 17 ივლისს) ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა რამდენიმე შეხვედრა პროგრამის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის ხელმძღვანელობასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, სეუს მედიცინის ერთსაფეხურიანი და ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

ვიზიტს პირადად ესწრებოდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრი, უცხოელი ექსპერტის ჩათვლით. ვინაიდან პროგრამა ახალია, არ იყვნენ წარმოდგენილნი "საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

ვიზიტის მეორე დღეს ჯგუფმა მოინახულა სამი საავადმყოფო და კლინიკა: თბილისის ამერიკული ჰოსპიტალი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო საუნივერსიტეტო და ინგოროყვას სამედიცინო მაღალტექნოლოგიური საუნივერსიტეტო კლინიკა - მრავალპროფილური კლინიკა და პალმედი.

შემდეგ ჯგუფმა უნივერსიტეტის შენობაში დაათვალიერა აუდიტორიები, პრაქტიკული ლაბორატორიები, კლინიკური უნარების და სიმულაციის ცენტრი და ბიბლიოთეკა.

ვიზიტის ბოლოს, პირველადი მიგნებების გაცნობის მიზნით ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ვიცე-რექტორებს, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელს და უნივერსიტეტის რამდენიმე თანამშრომელს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

[3] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

სტანდარტი 1	1.1:	1.2:	1.3:	1.4:	1.5:
	შესაბამისობაში მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტანდარტი 2	2.1:	2.2:	2.3:	2.4:	
	შესაბამისობაში მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან	
სტანდარტი 3	3.1:				
	შესაბამისობაში მოთხოვნებთან				
სტანდარტი 4	4.1:	4.2:	4.3:	4.4:	4.5:
	შესაბამისობაში მოთხოვნებთან		შესაბამისობაში მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან
	5.1:	5.2:	5.3:		

[1] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

სტანდარტი 5	მეტწილად შესაბამისობაშია მოთოხვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		

- **რეკომენდაციები**

  1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბოს და დანერგოს სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების სისტემა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

  2. სასურველია, თვითშეფასების ანგარიში მოიცავდეს საგანმანათლებლო პროგრამის დეტალურ აღწერილობას, ანალიზს და შეფასებას ყველა აკრედიტაციის სტანდარტის შესაბამისად.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[4]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

  ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღებით შეისწავლა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და შეინარჩუნა პირვანდელი პოზიცია სუეს "საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამის ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და / ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

[4] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სეუს "საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამის მიზანი, რომელიც აღნიშნულია თვითშეფასების ანგარიშში და პროგრამასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში, არის სასწავლო კურსების შინაარსის / მოცულობის, ასევე სწავლება - სწავლის ორგანიზება, რაც დაეხმარება:

- თანამედროვე ცოდნის მიღებას ძირითად სამედიცინო, სოციალურ და კლინიკურ მეცნიერებებში, ჯანდაცვის სისტემის სამართლებრივი საფუძვლების ცოდნას; პროგრამით გათვალისწინებული საფაკულტეტო, სავალდებულო კლინიკური და არჩევითი კურსების შესწავლას;
- კლინიკური უნარების, პაციენტზე ორიენტირებული და კვლევითი კომპეტენციების განვითარებას, რაც აუცილებელია მრავალპროფესიულ გარემოში განათლების შესაბამისი დონისთვის;
- სამეცნიერო და კლინიკური ინოვაციების კრიტიკულად შეფასების და კლინიკური პრობლემების გადასაჭრელად მათი გამოყენების უნარის განვითარებას;
- სამედიცინო კონტექსტში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით კომუნიკაციის უნარების შეძენას;
- მომავალი პროფესიისთვის მნიშვნელოვანი ეთიკური ღირებულებების გაზიარებას;
- უწყვეტი სამედიცინო განათლების და პროფესიული ზრდის საჭიროების გაცნობიერებასა და განვითარებისთვის მზაობას.

მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. ისინი მოიცავენ საექთნო საქმის სპეციფიკას და ითვალისწინებენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს როგორც საქართველოს ისე საერთაშორისო დონეზე.

ცხადია, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას სურს მოაგვაროს ჯანდაცვის მომსახურების სფეროში არსებული ერთ - ერთი მთავარი დეფიციტი (საუნივერსიტეტო საავადმყოფოში) და უპასუხოს საჭიროებებს ეროვნულ დონეზე. აღნიშნული შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას.

პროგრამის ხელმძღვანელთან, პერსონალთან და აკადემიურ პერსონალთან, მათ შორის აფილირებულ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებებისას გაცხადდა, რომ პროგრამის

შემუშავება, მისი მიზნების ჩათვლით, იყო მონაწილეობითი და ინკლუზიური პროცესი. პროცესი ასევე ითვალისწინებდა სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ საექთნო განათლების პრაქტიკას, რომლებიც შეიძლება ყოფილიყო კარგი მაგალითები.

სეუს ვებგვერდზე არ არის წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია "საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამის შესახებ (პროგრამა ახალია).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სეუს "საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები;
- სეუს "საექთნო საქმის" საგანმანათლებლო პროგრამა;
- სეუს ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის ძიზხეები	■	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვინაიდან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ჯერ არ გამოუქვეყნებია დარგობრივი მახასიათებელი, უნივერსიტეტმა შეიმუშავა სწავლის შედეგების საკუთარი ნაკრები, რომელიც ზოგადად მიჰყვება მედიცინის პროგრამის სწავლის შედეგების ფორმატს. ის დაყოფილია 3 სფეროდ (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) და 10 პუნქტად.

ისინი რეალისტური, გაზომვადი და მიღწევადია და პასუხობს საექთნო საქმის სფეროს სპეციფიკას და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს.

ვინაიდან ეროვნულ დონეზე საექთნო საქმის სფერო მნიშვნელოვან გარდამავალ ეტაპზეა, მათ შორის კანონმდებლობით რეგულირებად პროფესიად აღიარების და ქვეყანაში მოქმედი საავადმყოფოების მიერ JCI - ის მსგავსი ცნობილი საკრედიტაციო სისტემებით აკრედიტაციის მიღების ვალდებულების ეტაპზე, გარკვეულწილად რთულია საექთნო საქმის არსებული პრაქტიკის გათვალისწინება პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრის საუკეთესო საზომად. სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში უნივერსიტეტს გამოყენებული აქვს საერთაშორისო სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა, ამიტომ სწავლის შედეგები საკმარისად შეესაბამება საქართველოს და საერთაშორისო შრომის ბაზრის სამომავლო და არსებულ მოთხოვნებს. სწავლის შედეგები შემუშავებულია დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალის და ეროვნული საექთნო ორგანიზაციების თანამშრომლობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სეუს "საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები;
- სეუს "საექთნო საქმის" საგანმანათლებლო პროგრამა;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	■	□	□	□

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტმა წარმოადგინა სწავლის შედეგების შეფასების მოდელის დეტალური აღწერილობა, რომელიც იწყება დაგეგმვის ფაზიდან და მიემართება განხორციელებისკენ და შეფასებისკენ. ის მოიცავს პირდაპირ და არაპირდაპირ შეფასებებს. აღნიშნული თითოეული მიმართულება ითვალისწინებს არაერთ მეთოდს, რომელსაც უნივერსიტეტი იყენებს

სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის გასაზომად. გასაუბრების დროს, პროგრამის ხელმძღვანელმა, მონაცემთა ანალიტიკოსმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებმა ხაზი გაუსვეს, რომ უნივერსიტეტი ზომავს სწავლის შედეგების მიღწევას და არა სხვადასხვა კურსში სტუდენტების პროგრესს.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემა და საგანმანათლებლო პორტალი. ის ძალიან კარგად არის განვითარებული, თუმცა უნივერსიტეტის მთელ გეგმაში ფიქსირდება ერთი მთავარი შეცდომაში შემყვანი გარემოება. ის, რისი გაზომვაც დაგეგმილია უნივერსიტეტის მიერ, არ არის სწავლის შედეგების მიღწევა. ნაცვლად ამისა, უნივერსიტეტი აფასებს მხოლოდ სტუდენტების პროგრესს სასწავლო კურსებში. აღნიშნული ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლოა, მაგრამ ეს არ არის ის, რასაც 1.3 კომპონენტი მოითხოვს უნივერსიტეტებისგან, კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასებას. აღნიშნული საჭიროებს სტუდენტების შეფასების მოდელში მნიშვნელოვან ცვლილებას და უზრუნველყოფს ნებისმიერი სწავლის შედეგის ნებისმიერი შეფასების მკაფიო კავშირს სტუდენტების სწავლის პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სეუს "საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები;
- პირდაპირი დაკვირვება სეუს საგანმანათლებლო პორტალზე და სასწავლო პროცესის მართვის სისტემაზე.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბოს და დანერგოს სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების სისტემა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	☐	■	☐

1.4. 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ - ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების
  მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სეუს "საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. "საექთნო საქმის" პროგრამა შემუშავებულია საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს "საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, გადახედვის და გაუქმების წესის" შესაბამისად. შემუშავების პროცესი ითვალისწინებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობას, განხილვებს მედიცინის ფაკულტეტის საბჭოზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასებას და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებას. აღნიშნული ყოვლისმომცველი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ პროგრამა გულდასმით არის დაგეგმილი და შემუშავებული ინსტიტუციური და ეროვნული სტანდარტების შესაბამისად.

საბაკალავრო პროგრამა შედგება 240 კრედიტისგან, ჩამოყალიბებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემის მიხედვით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესებს. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება განათლების პირველ საფეხურს (ბაკალავრიატი), ხოლო "საექთნო საქმის ბაკალავრის" კვალიფიკაცია შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან. პროგრამა თანმიმდევრულად არის სტრუქტურირებული, საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტები ლოგიკურად არის განლაგებული და შინაარსობრივად განვითარებული. შესაბამისია გაძლიერებული კომპონენტების წინაპირობები, რაც პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს თანმიმდევრულ პროგრესს. პროგრამაში ძირითადი თეორიული მეცნიერებების, კლინიკური კურსების და პრაქტიკული

კომპონენტების გათვალისწინება უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ ყოვლისმომცველი ცოდნის და უნარების შეძენას. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შემუშავებულია სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად. თითოეული კომპონენტი ხელს უწყობს საექთნო პრაქტიკისთვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარებას, როგორიცაა თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარები, ეთიკური საკითხები და კვლევითი შესაძლებლობები. დარგის თანამედროვე მიღწევების და ახალი კვლევების გათვალისწინება უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვეობას და რელევანტურობას.

პროგრამის დასრულების შემდგომ მინიჭებული "საექთნო საქმის ბაკალავრის" კვალიფიკაცია შეესაბამება შინაარსს და სწავლის შედეგებს. მრავალფეროვანი კომპონენტები, რომლებიც მოიცავენ თეორიულ საფუძვლებს და კლინიკურ პრაქტიკას, აღჭურვავს სტუდენტებს პროფესიული საექთნო საქმიანობისთვის საჭირო კომპეტენციებით.

პროგრამის განვითარებაში და განხორციელებაში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რაც უზრუნველყოფს შინაარსის აკადემიურ სიმკაცრეს და პროფესიულ რელევანტურობას. პროცესებში ასევე მონაწილეობენ დამსაქმებელი კლინიკები და ჯანდაცვის პროფესიონალები, რომლებიც წარმოადგენენ პრაქტიკულ ხედვებს და უზრუნველყოფენ პროგრამის ინდუსტრიის სტანდარტებთან და საჭიროებებთან შესაბამისობას.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციას, მოიცავს საექთნო განათლების გლობალურ ტენდენციებს და მიღწევებს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები ეცნობიან საერთაშორისო სტანდარტებს და პრაქტიკას, რაც მათ ამზადებს ჯანდაცვის მრავალფეროვანი გარემოსთვის.

საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუში "საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია გულდასმით დაწესებულების მეთოდოლოგიის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულ და ლოგიკურ სტრუქტურას, რომელიც შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის ყოვლისმომცველი შინაარსი, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და თანამედროვე მიღწევების და საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინება უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების კარგად მომზადებას პროფესიული საექთნო პოზიციებისთვის. მინიჭებული კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს, რაც ადასტურებს პროგრამის ხარისხს და რელევანტურობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დანართი N1 - "საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ადგილზე ვიზიტი;
- გასაუბრებები.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტოუქტუოა და ძიბააოსი	■	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს "საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია ისე, რომ უზრუნველყოს აკადემიური კურსების შინაარსის, კრედიტების რაოდენობის და სასწავლო მასალების შესაბამისობა თითოეული კურსის და მთლიანი პროგრამის სწავლის შედეგებთან.

"საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსები უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ საფუძველს საექთნო საქმის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებში. სტუდენტები იძენენ აუცილებელ ცოდნას და კომპეტენციებს, რომლებიც შესაბამისია სამედიცინო მომსახურების სხვადასხვა დონისთვის. კურსები შემუშავებულია იმისათვის, რომ განავითაროს შემდეგი უნარები: ძირითადი თეორიული ცოდნა: სტუდენტები მყარად აცნობიერებენ საექთნო პრაქტიკასთან დაკავშირებულ თეორიული საკითხებს; პრაქტიკული უნარები: კურსები ხაზს უსვამენ საექთნო პროცესის ყველა ეტაპზე მოქმედების პრაქტიკულ უნარს, რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს შეუძლიათ ეფექტურად გამოიყენონ თავიანთი ცოდნა რეალურ გარემოში; კვლევითი უნარები: სტუდენტები სწავლობენ საექთნო მოვლის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების კვლევის პრინციპებს, რაც მათ ამზადებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკისთვის.

სასწავლო კურსები ასევე ორიენტირებულია პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის უნარზე, პროფესიული სტანდარტების დაცვაზე და ეთიკური პრინციპების შენარჩუნებაზე. სტუდენტები სწავლობენ პაციენტების ჯანმრთელობის ინტერესების გათვალისწინებას პაციენტებთან, მათ კანონიერ წარმომადგენლებთან და კოლეგებთან ურთიერთობისას.

"საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები

შემუშავებულია ისე, რომ შეესაბამებოდეს პროგრამის საერთო სწავლის შედეგებს. აღნიშნული ინტეგრაცია უზრუნველყოფს, რომ თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შესაბამისია კურსის კონკრეტული სწავლის შედეგების მისაღწევად, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს პროგრამის ყოვლისმომცველი მიზნების მიღწევას. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალები ეფუძნება საექთნო საქმის სფეროში უახლეს მიღწევებს. აღნიშნული მასალები გულდასმით არის შერჩეული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მხარდასაჭერად. თანამედროვე რესურსების გამოყენება ხელს უწყობს სტუდენტების ინფორმირებულობას საექთნო საქმეში მიმდინარე პრაქტიკის და ინოვაციების შესახებ. პროგრამაში გათვალისწინებული თითოეული დისციპლინა შემუშავებულია შესაბამისი საათობრივი დატვირთვით, როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი სწავლის საათების გათვალისწინებით. აღნიშნული ბალანსი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს აქვთ საკმარისი დრო მასალის ასათვისებლად, უნარების გასავარჯიშებლად და დასახული სწავლის შედეგების მისაღწევად.

პროგრამის კლინიკური პრაქტიკის კომპონენტები სტრუქტურირებულია ისე, რომ ბაკალავრებისთვის უზრუნველყოს შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება. აღნიშნული კომპონენტები შეესაბამება ევროპის საბჭოს მარეგულირებელ სტანდარტებს და მოიცავს სფეროების ფართო სპექტრს, მაგალითად: თერაპია, ქირურგია, ფსიქიკური ჯანმრთელობა, კრიტიკული მოვლის მედიცინა, გერიატრია და ა.შ.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს "საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამა გულდასმით არის შემუშავებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ აკადემიური კურსების შინაარსი, კრედიტების რაოდენობა და სასწავლო მასალები შეესაბამებოდეს როგორც ინდივიდუალური კურსების, ისე მთლიანი პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამაში თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარების, ეთიკური სტანდარტების და კვლევითი პრინციპების გათვალისწინება უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ საგანმანათლებლო გამოცდილებას. პროგრამის კლინიკური პრაქტიკის კომპონენტები უზრუნველყოფს მედიცინის სხვადასხვა სფეროში აუცილებელ პრაქტიკულ სწავლებას, რაც სტუდენტებს ამზადებს საექთნო საქმეში წარმატებული კარიერისთვის. მარეგულირებელ სტანდარტებთან შესაბამისობა და თანამედროვე სასწავლო მასალების გამოყენება კიდევ უფრო აძლიერებს პროგრამის ხარისხს და რელევანტურობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დანართი N1 - "საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ადგილზე ვიზიტი;
- გასაუბრებები.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	[redacted]	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	[redacted] ☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სეუს "საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შემუშავებულია ისე, რომ უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ცოდნისა და უნარების მქონე პირების მიღება. აღნიშნული პროცედურები გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ინსტიტუციურ რეგულაციებს.

დაშვების წინაპირობები და პროცედურები მოიცავს დაშვების ზოგად მოთხოვნებს, სადაც პირებს უნდა ჰქონდეთ სრული ზოგადი განათლების ატესტატი ან საქართველოში გაცემული ეკვივალენტური დოკუმენტი. აპლიკანტებმა სეუში ჩარიცხვის უფლება უნდა მოიპოვონ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ასევე გამოცდის ჩაბარების გარეშე ჩარიცხვის წესი ვრცელდება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე, რომლებმაც განათლება მიიღეს საზღვარგარეთ ან საქართველოში აღიარებული უცხოური ან საერთაშორისო პროგრამების ფარგლებში;

საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ უცხო ქვეყანაში და ბოლო ორი წელი სწავლობდნენ საზღვარგარეთ; მობილობის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც სწავლობდნენ და კრედიტები მიიღეს აღიარებულ უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ასევე საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებმაც განათლება და კვალიფიკაცია მიიღეს საზღვარგარეთ, როგორც ეს აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ენის ცოდნის მხრივ, აპლიკანტებმა უნდა დაადასტურონ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის ცოდნა (მინიმუმ B1 დონე).

მობილობი წესით მიღება:

სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან / პროგრამებიდან სტუდენტების გადმოსვლა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედ სტუდენტებს ან იმ პირებს, რომელთა სტატუსი შეჩერებული ან შეწყვეტილია ბოლო 12 თვის განმავლობაში, შეუძლიათ სეუში გადმოსვლა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პორტალის მეშვეობით.

კანონმდებლობასთან შესაბამისობა და ხელმისაწვდომობა: წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებას. ყველა პროცედურა აღწერილია პროგრამის რეგულაციებში, განთავსებულია სეუს ვებ - გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

დაშვების პროცედურები "საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამაზე სტრუქტურირებულია სამართლიანობის, გამჭვირვალობის და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ისინი შეესაბამება სამართლებრივ მოთხოვნებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია, რაც ხელს უწყობს პროგრამაზე კვალიფიციური პირების მიღებას. აღნიშნული ყოვლისმომცველი ჩარჩო უზრუნველყოფს, რომ საჭირო ცოდნის და უნარების მქონე სტუდენტების მიღებით პროგრამა ეფექტურად მიაღწევს სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დანართი N1 - "საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამა https://www.seu.edu.ge/en/1796/
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი https://www.seu.edu.ge/en/554/
- ადგილზე ვიზიტი;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

- o არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.	■	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

"საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ბაკალავრი ექთნები, რომლებიც აღჭურვილნი არიან ყოვლისმომცველი ცოდნით, პრაქტიკული უნარებით და აუცილებელი ღირებულებებით საექთნო პრაქტიკაში წარმატების მისაღწევად. აღნიშნული ანალიზი შეაფასებს, თუ რამდენად კარგად შეესაბამება პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტს, რომელიც მოითხოვს სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ ჩართულობას კვლევით პროექტებში, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.

პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას უნივერსიტეტის

სიმულაციური ლაბორატორიის აქტიურად გამოყენებით. ლაბორატორია აღჭურვილია მრავალფეროვანი მატერიალური და ტექნიკური რესურსებით, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს კონტროლირებად გარემოში განახორციელონ ძირითადი საექთნო მანიპულაციები. ეს პრაქტიკული გამოცდილება გადამწყვეტია თეორიული ცოდნის რეალურ სცენარებში გამოყენებისთვის.

პროგრამის მნიშვნელოვანი ასპექტია ინფექციის კონტროლის სწავლება. აღნიშნული მოიცავს ინფექციების გავრცელების გზების, პრევენციის მეთოდების და ინფექციურ დაავადებებში სპეციალური და იზოლაციის ზომების გამოყენების პრინციპების გაგებას. სტუდენტები სწავლობენ როგორც პაციენტების, ისე სამედიცინო პერსონალის უსაფრთხოების ზომებს, რაც სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება კლინიკურ გარემოში. ინფექციის კონტროლზე ორიენტაცია შეესაბამება ჯანდაცვის თანამედროვე საჭიროებებს და უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები მომზადებულნი არიან ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებული კრიტიკული სიტუაციების სამართავად.

პროგრამაში პრაქტიკული კრედიტების გაზრდა ხაზს უსვამს კლინიკური განათლების მნიშვნელობას. კლინიკური განათლება არის ის ადგილი, სადაც სტუდენტები, როგორც ჯანდაცვის გუნდების წევრები, რეალურ გარემოში იყენებენ შეძენილ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს. ისინი მონაწილეობენ საექთნო მომსახურების ორგანიზებაში, განხორციელებაში და შეფასებაში ჯანმრთელ და ავადმყოფ პირებთან და საზოგადოებასთან პირდაპირი ურთიერთობის გზით. აღნიშნული გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება ფუნდამენტურია კომპეტენტური და თავდაჯერებული საექთნო პროფესიონალების მომზადებაში.

პროგრამა მოიცავს სამეცნიერო და კვლევით ელემენტებს, რომლებიც მოუწოდებს სტუდენტებს ჩაერთონ კვლევით პროექტებში. აღნიშნული ჩართულობა ხელს უწყობს საექთნო პრაქტიკის უფრო ღრმა გაგებას და ავითარებს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარებს. სტუდენტები წახალისებულნი არიან აღმოაჩინონ შემოქმედებითი გადაწყვეტილებები ჯანდაცვის გამოწვევებისთვის, რაც აძლიერებს მათ უნარს ადაპტირდნენ და შეიტანონ სიახლეები თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში.

პრაქტიკული და კვლევითი უნარების გარდა, პროგრამა ხაზს უსვამს ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორიცაა კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა და პრობლემების გადაჭრა. აღნიშნული უნარები აუცილებელია ეფექტური საექთნო პრაქტიკისთვის და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების შესაძლებლობას ეფექტურად იმუშაონ მრავალფეროვან სამედიცინო გარემოში.

"საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტს იმით, რომ უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ განათლებას, რომელიც ავითარებს სტუდენტების

პრაქტიკულ, სამეცნიერო, კვლევით, შემოქმედებით და ტრანსფერულ უნარებს. სიმულაციური ლაბორატორიის გამოყენება, ძლიერი ორიენტაცია ინფექციის კონტროლზე და გაზრდილი პრაქტიკული კრედიტები უზრუნველყოფს სტუდენტების კარგად მომზადებას პროფესიული საქმიანობისთვის. პროგრამის აქცენტი კლინიკურ განათლებაზე და კვლევით პროექტებში ჩართულობაზე კიდევ უფრო მეტად უზრუნველყოფს შესაბამისობას აკრედიტაციის მოთხოვნებთან, რაც მას აყალიბებს მყარ და ეფექტურ საექთნო საგანმანათლებლო პროგრამად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დანართი N1 - "საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამა;
- დანართი N1 - "საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები;
- ადგილზე ვიზიტი;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	■	☐	☒	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

"საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამა ხაზს უსვამს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების და სწავლის მეთოდებს. აღნიშნული ანალიზი აფასებს, თუ რამდენად კარგად იცავს პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტს, რომელიც უზრუნველყოფს, რომ სწავლებისა და სწავლის მეთოდები არის სტუდენტზე ორიენტირებული და შეესაბამება განათლების დონეს, კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს, რითაც უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

"საექთნო საქმის" პროგრამა შემუშავებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპზე, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტების უნარების, კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე და აკადემიური ცოდნის გაღრმავებაზე. პროგრამა იყენებს სწავლების და სწავლის სხვადასხვა მეთოდებს, რომლებიც მორგებულია საგანმანათლებლო დონეს და შინაარსს, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას.

ლექციები შემუშავებულია ინტერაქტიულად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტების აქტიურ ჩართულობას. მოდიფიცირებული ლექციები მოიცავს მულტიმედიას და სწავლების სხვა ინოვაციურ ინსტრუმენტებს მასალის გაგების და დამახსოვრების გასაუმჯობესებლად. PBL (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა) და CBL (შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლა) წარმოადგენს პროგრამის განუყოფელ ნაწილს, სადაც სტუდენტები სწავლობენ რეალური პრობლემებისა და კლინიკური შემთხვევების შესწავლის გზით. აღნიშნული მეთოდი აძლიერებს კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემის გადაჭრის უნარებს და თეორიული ცოდნის პრაქტიკულ სიტუაციებში გამოყენებას. პროგრამა მოიცავს მცირე და დიდ ჯგუფურ დისკუსიებს და დებატებს, რაც ხელს უწყობს კომუნიკაციის უნარების, გუნდური მუშაობის და საკითხების სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვის უნარის განვითარებას. აღნიშნული მეთოდები ხელს უწყობენ აქტიურ მონაწილეობასა და თანამშრომლობით სწავლას. მნიშვნელოვანი კომპონენტია პრაქტიკული სწავლა და

ლაბორატორიული სამუშაოები. სტუდენტები მონაწილეობენ ექსპერიმენტებში და პრაქტიკულ სავარჯიშოებში თანამედროვე ლაბორატორიული აღჭურვილობის და საგანმანათლებლო მასალების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის გამოყენებას. პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია კლინიკურ გარემოში სწავლება, სადაც სტუდენტები გამოცდილი პროფესიონალების ზედამხედველობის ქვეშ რეალურ სამედიცინო გარემოში იყენებენ თავიანთ უნარებს. აღნიშნული პრაქტიკული სწავლება აუცილებელია კომპეტენტური საექთნო პროფესიონალების განვითარებისთვის. პროგრამა იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს და ტექნოლოგიებს, მათ შორის აუდიო-ვიზუალურ მასალებს, შეფასების თანამედროვე მეთოდებს და ტექნოლოგიურად აღჭურვილ აუდიტორიებს და ლაბორატორიებს. აღნიშნული რესურსები აუმჯობესებს სწავლის გამოცდილებას და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

საერთაშორისო სტუდენტებისთვის, აკადემიური და მოწვეული პერსონალი სწავლების და შეფასების მეთოდების ჩამოყალიბებისასითვალისწინებს კულტურულ და სხვა საჭიროებებს. აღნიშნული კულტურული მგრძნობელობა ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოფს ინკლუზიურ და მხარდამჭერ სასწავლო გარემოს.

" საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამა ეფექტურად ახორციელებს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების და სწავლის მეთოდებს. გამოყენებული მრავალფეროვანი და თანამედროვე სასწავლო სტრატეგიები შეესაბამება პროგრამის საგანმანათლებლო დონეს, შინაარსს და სწავლის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს მათ მიღწევას. პროგრამის ორიენტაცია პრაქტიკულ, ინტერაქტიულ და კულტურულად მგრძნობიარე მეთოდებზე უზრუნველყოფს სტუდენტების ყოველმხრივ მომზადებას მათი პროფესიული პოზიციებისთვის საექთნო საქმეში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დანართი N1 - "საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამა;
- დანართი N1 - "საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები;
- ადგილზე ვიზიტი;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	■	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

"საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, რომლებიც გამჭვირვალეა, სანდო და შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას.

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების შესაბამისად. აღნიშნული უზრუნველყოფს, ყველა შეფასების პროცედურის კანონიერებას და სტანდარტიზებას უნივერსიტეტის მასშტაბით. სტუდენტთა შეფასების პროცედურები ნათლად არის აღწერილი სასწავლო პროცესის რეგულაციაში და საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე. აღნიშნული გამჭვირვალობა სტუდენტებს საშუალებას აძლევს ფლობდნენ სრულყოფილ ინფორმაციას შეფასების კრიტერიუმების და პროცესების შესახებ, რაც უზრუნველყოფს სამართლიანობას და თანმიმდევრულობას. პროგრამის თითოეული სასწავლო კომპონენტი მოიცავს შეფასების ორ ფორმას: შუალედურ და საბოლოო შეფასებას. აღნიშნულ შეფასებებს გააჩნიათ კონკრეტული წილი საერთო შეფასებაში, რაც ჯამში შეადგენს 100 ქულას. შეფასების კომპონენტები და მეთოდები აღწერილია სილაბუსებში და მორგებულია კონკრეტულ საგნებზე. საბოლოო გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტებმა უნდა გადალახონ შუალედური შეფასების კომპეტენციის ზღვარი. საბოლოო გამოცდის კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება კურსის ხელმღვანელის მიერ და მითითებულია კურსის სილაბუსში. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები საბოლოო შეფასებამდე იძენენ საკმარის ცოდნას და უნარებს.

სტუდენტების უწყვეტი შეფასების და მონიტორინგის მიზნით უნივერსიტეტი იყენებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას (emis.seu.edu.ge). აღნიშნული სისტემა

უზრუნველყოფს სტუდენტების მოსწრების გამჭვირვალობას რელაურ დროში არსებული განახლებების მიწოდებით, ყოველკვირეული შეფასებების, პრეზენტაციების და გამოცდების ჩათვლით. სისტემა ინახავს სტუდენტთა შეფასებების სრულ მონაცემთა ბაზას, აღრიცხავს სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა შეფასებიდან მიღებულ ქულებს. სტუდენტებს შეუძლიათ ჰქონდეთ ონლაინ წვდომა თავიანთი მოსწრების ჩანაწერებზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და აკადემიურ პროგრესზე დაკვირვების შესაძლებლობას. სისტემა იძლევა შუალედური შეფასებების ერთზე მეტი შემფასებლის მიერ ჩატარების შესაძლებლობას. შესაბამისი სფეროს აკადემიური პერსონალის მიერ შედგენილია თითოეული კურსისთვის საგამოცდო კითხვების ბანკი. სტუდენტები ფასდებიან როგორც საკუთარი ლექტორების, ასევე იმავე კურსის სხვა ლექტორების კითხვების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს მათი ცოდნის და უნარების უფრო დაბალანსებულ და რეალისტურ შეფასებას. გამოცდები, იქნება ეს ზეპირი, წერითი თუ პრაქტიკული, ტარდება უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ დარეგისტრირდნენ გამოცდებზე მათთვის მოსახერხებელ დროს საგამოცდო კვირის განმავლობაში. გარდა ამისა, უნივერსიტეტი სთავაზობს რეგიონულ საგამოცდო ცენტრებს, რომლებიც სრულად იცავენ დადგენილ წესებს სხვადასხვა ლოკაციაზე მყოფი სტუდენტების მომსახურების მიზნით.

სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურები საჯაროდ არის აღწერილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. სტუდენტებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით შეუძლიათ გაასაჩივრონ ნებისმიერი შეფასება. გასაჩივრების პროცესი შექმნილია გამჭვირვალე და ობიექტური პრინციპებით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების საჩივრების სამართლიან განხილვას.

"საექთნო საქმის" საბაკალავრო პროგრამა ახორციელებს სტუდენტების შეფასების ყოვლისმომცველ და გამჭვირვალე სისტემას, რომელიც შეესაბამება დადგენილ პროცედურებს და კანონმდებლობას. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის გამოყენება აძლიერებს გამჭვირვალობას, სანდოობას და სტუდენტთა მოსწრების უწყვეტ მონიტორინგს. შეფასების პროცესი, მათ შორის შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, მრავალი შემფასებელი და გასაჩივრების მკაფიო მექანიზმები, უზრუნველყოფს, რომ სტუდენტების შეფასებები სამართლიანი და ყოვლისმომცველია და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

